სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080103405662917

 # 98 **09 / იანვარი / 2017 წ.**

შპს „ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 5 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP170000040 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, განახორციელა სისხლისა და სისხლის კომპონენტების (CPV-33100000 - სამედიცინო მოწყობილობები) შესყიდვა. განხორციელებული შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა 6960 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის საჭიროება განაპირობა პაციენტებისათვის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებლობამ. ზემოაღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით, 2016 წლის 6 დეკემბერს გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი (SPA160030154), სადაც წინადადების მიღების დასრულების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 27 დეკემბერი, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულების დადებას ესაჭიროება გარკვეული პროცედურები, 2017 წლის 1 იანვრამდე ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაფორმება.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია კლინიკაში სისხლისა და სისხლის კომპონენტების მარაგის ამოწურვამ, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო, ვინაიდან, აღნიშნული საქონლის სპეციფიკაციიდან გამომდინარე, კლინიკას არ გააჩნია სათანადო პირობები მათი დიდი ოდენობის შენახვისთვის, ხოლო პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა დოზის გაზრდა, რამაც გამოიწვია არსებული მარაგის ამოწურვა. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა პაციენტების ჯანმრთელობას, რადგან სისხლისა და სისხლის კომპონენტების არარსებობის გამო,

კლინიკაში არსებული პაციენტებისთვის შეუძლებელია სრულყოფილი სამედიცინო დახმარების გაწევა. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულმა ვითარებამ, აიძულა შემსყიდველი ორგანიზაცია გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია კლინიკაში სისხლისა და სისხლის კომპონენტების მარაგის ამოწურვამ, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო, ვინაიდან, აღნიშნული საქონლის სპეციფიკაციიდან გამომდინარე, კლინიკას არ გააჩნია სათანადო პირობები მათი დიდი ოდენობის შენახვისთვის, ხოლო პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა დოზის გაზრდა, რამაც გამოიწვია არსებული მარაგის ამოწურვა. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა პაციენტების ჯანმრთელობას, რადგან სისხლისა და სისხლის კომპონენტების არარსებობის გამო, კლინიკაში არსებული პაციენტებისთვის შეუძლებელია სრულყოფილი სამედიცინო დახმარების გაწევა. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულმა ვითარებამ, აიძულა შემსყიდველი ორგანიზაცია გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის დაყოვნება, დიდი ალბათობით, გამოიწვევდა არსებული მდგომარეობის გაუარესებას, კერძოდ, პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდებოდა, რადგან სისხლისა და სისხლის კომპონენტების გარეშე, შეუძლებელია სრულყოფილი სამედიცინო დახმარების გაწევა.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი შპს „ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ განხორციელებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე